

# ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (მოდულური)

პრაქტიკოსი ექთანი



## ✚ პროგრამის მიზანი:

მისცეს სტუდენტს საექთნო საქმისთვის საჭირო ბაზისური თეორიული ცოდნა და კლინიკური უნარ-ჩვევები, რის საფუძველზეც წარმატებით შეასრულებს პრაქტიკოსი ექთნის პროფესიულ როლსა და ფუნქციებს, საექთნო საქმის ძირითადი ღირებულებების, ეთიკური და სამართლებრივი ასპექტების გათვალისწინებით.

## ✚ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

სრული ზოგადი განათლება

იმ პირებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია

✚ მოცულობა: 156 კრედიტი

✚ სავარაუდო ხანგრძლივობა: 28 სასწავლო თვე

იმ პირებისთვის, რომელთაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია

✚ მოცულობა: 126 კრედიტი

✚ სავარაუდო ხანგრძლივობა: 23 სასწავლო თვე

**✚ მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:**

პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

**✚ სწავლის შედეგი:**

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- ✓ საექთნო პროცესის მართვა
- ✓ კომუნიკაცია საზოგადოებასთან და ჯანდაცვის გუნდთან
- ✓ ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ღომისძიებების დაცვა
- ✓ სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება
- ✓ პროფესიული განვითარებისთვის ზრუნვა

**კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:**

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს

**ა) ყველა სამედიცინო დაწესებულებაში:**

- სტაციონარი
- ამბულატორია
- დიაგნოსტიკური ცენტრი
- პირველადი ჯანდაცვის ობიექტები
- რეაბილიტაციის ცენტრები
- ესთეტიკური ცენტრები
- გადაუდებელი დახმარების ცენტრები
- სასწრაფო გადაუდებელი ცენტრები

**ბ) სხვადასხვა ინსტიტუციაში:**

- ბინაზე მომსახურება/პატრონაჟი
- პანსიონატები (ბავშვთა, მიუსაფართა, მოხუცთა სახლები)
- პალიატიური მზრუნველობის ცენტრები
- საგანმანათლებლო დაწესებულებები
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები
- კვების ობიექტები

**გ) ჯანდაცვის ორგანიზაციაში**

- ჯანდაცვის სამინისტრო